საჯარო სამსახურების დამმობილების პროექტი

Contract: GE 16 ENI ST 06 18

საქართველოს სტატისტიკური სისტემის შესაძლებლობების გაძლიერება

კომპონენტი 2: "ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგიური საფუძვლების გაძლიერება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად"

ქვეკომპონენტი 2.2: "რესურსებისა და გამოყენების ცხრილების (SUT) და დანახარჯებისა და გამოშვების (I/O) ცხრილების შედგენის მეთოდი"

მისიის ანგარიში

აქტივობა: 2.2. D (RS2) "დაბალანსებამდე მაჩვენებლების რესურსებისა და გამოყენების ცხრილებში შეყვანის დასრულება"

მისიის განმახორციელებელი ექსპერტები:
ქ-ნი მარია ნილსონი, დანიის სტატისტიკა
ბ-ნი სორენ ლარსენი, დანიის სტატისტიკა

2020 წლის 4 ივნისი – 22 დეკემბერი

ვერსია: საბოლოო

ექსპერტების საკონტაქტო ინფორმაცია

ქ-ნი მარია ნილსონი
დანიის სტატისტიკა
კოპენჰაგენი, დანია
ტელ.: +45 3917 3408
ელ. ფოსტა: mnn@dst.dk

გ-ნი სორენ ჰენრი ლარსენი
დანიის სტატისტიკა
კოპენჰაგენი, დანია
ტელ.: +45 3917 3483
ელ. ფოსტა: shl@dst.dk

სარჩევი

1. ზოგადი შენიშვნები..... 4
2. შეფასება და შედეგები..... 4
3. დასკვნები და დამატებითი განხილვები..... 5
დანართი 1. ტექნიკური დავალება..... 9
დანართი 2. ექსპერტებთან შეხვედრებში მონაწილე პირები 11

1. ზოგადი შენიშვნები

წინამდებარე მისიის ანგარიში ევროკავშირის საჯარო სამსახურების დამმობილების პროექტის „საქართველოს სტატისტიკური სისტემის შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში მომზადდა. დასრულდა პროექტის 2.2 ქვეკომპონენტის - “რესურსებისა და გამოყენების ცხრილების (SUT) და დანახარჯებისა და გამოშვების (I/O) ცხრილების შედგენის მეთოდი” - მეხუთე მისია, რომელიც პანდემიის გამო, ივნისსა და სექტემბერში განხორციელებული წინა მისიების მსგავსად, დისტანციურ რეჟიმში განხორციელდა 4-22 დეკემბრის პერიოდში. მისია რესურსებისა და გამოყენების ცხრილებში დარჩენილი მაჩვენებლების ასახვას, რესურსებისა და გამოყენების ცხრილებში მანამდე ასახული მაჩვენებლების გასწორებას და პროდუქტების დაბალანსების დაწყებას დაეთმო.

მისიის მიზნები:

- საქსტატისა და დანიის სტატისტიკის მიერ წინა მისიის შემდეგ მომზადებული მონაცემების ვალიდაცია.
- მონაცემების გასწორება საჭიროებისდა მიხედვით.
- გამოტოვებული მაჩვენებლების ასახვა საბითუმო ვაჭრობის, საცალო ვაჭრობის, პროდუქტებზე გადასახადებს გამოკლებული სუბსიდიების და დღგ-ის შესახებ.
- პროდუქტების დაბალანსების დაწყება დანიელი ექსპერტების მიერ მომზადებული Excel-ის მაკროგანსაზღვრებების გამოყენებით.

კონსულტანტები მადლიერებას გამოხატავენ შეხვედრაში მონაწილე ყველა თანამდებობის პირისა და თანამშრომლის მიმართ საქართველოში განხორციელებული მისიის პერიოდში უზრუნველყოფილი მხარდაჭერისა და ინფორმაციისთვის, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კონსულტანტების წარმატებულ მუშაობას.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია კონსულტანტების მოსაზრებები და დასკვნები, რომლებიც არ გულისხმობს ევროკავშირის, საქსტატის, დანიის სტატისტიკის ან პროექტის განხორციელებაში ჩართული სხვა სტატისტიკური სამსახურების შეხედულებებს.

2. შეფასება და შედეგები

მოცემული მისია დისტანციურ რეჟიმში განხორციელდა 2020 წლის 4-22 დეკემბრის პერიოდში. აღნიშნულ პერიოდში ჩატარდა 3 შეხვედრა Zoom-ის მხარდაჭერით. COVID19-თან დაკავშირებული რეგულაციების გამო, დანიელ ექსპერტებს კვლავ სახლიდან უწევდათ მუშაობა მთელი მისიის განმავლობაში. პირველი შეხვედრის დასაწყისში აღმოჩნდა, რომ საქსტატის მიერ შეხვედრის წინ ელ. ფოსტით გაგზავნილი მონაცემთა ფაილები დანიელ ექსპერტებს არ მიუღიათ, სავარაუდოდ, IT პრობლემების გამო. შედეგად, ექსპერტებს კომპიუტერში განსხვავებული ფაილები ჰქონდათ განხილვების დროს.

გარკვეული პერიოდის წინ ხელმისაწვდომი გახდა რესურსებისა და გამოყენების ცხრილების ჩარჩოში შესაყვანი მონაცემების ასახვისა და დაზუსტებისთვის საჭირო Excel-ის მაკროგანსაზღვრებების სისტემა. აღნიშნულ სისტემაში შესატანი მონაცემები Excel-ის გვერდების სახით სტანდარტიზებულ ფორმატში ეკონომიკის სხვადასხვა დარგში მომზადდა. 2018 წლის

საბაზისო წლის სახით გათვალისწინებით, საქსტატმა მოამზადა მონაცემები, რომელიც მოიცავს წარმოებას, საგარეო ვაჭრობას, შუალედურ მოხმარებას, მთლიანი ფიქსირებული კაპიტალის ფორმირებას და მარაგების ცვლილებას. საქსტატის თანამშრომლებისა და დანიელი ექსპერტების თანამშრომლობის ფარგლებში მომზადდა შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების, შმაკოს და სახელმწიფო მართვის ორგანოების მონაცემები. თუმცა, ზოგიერთი აღნიშნული სფერო კვლავ შეიცავდა პრობლემატურ მაჩვენებლებს, რომლებიც დამატებით განხილვას საჭიროებდნენ და პირველი დღე აღნიშნული პრობლემების განხილვას დაეთმო.

აღნიშნული მისიის პერიოდში ყურადღება დაეთმო ზოგიერთ კონკრეტულ საკითხს: წარმოდგენილი იქნა CIF იმპორტის ახალი განაწილება პროდუქტების მიხედვით. შემუშავდა FOB ექსპორტის ანალოგიური განაწილება, თუმცა საბაზისო მონაცემები წინააღმდეგობაში იყო მონაცემთა სხვა წყაროების შედეგებთან. დასრულდა არაკომერციული ორგანიზაციების (შმაკო) გამოშვების გაანგარიშება, თუმცა კვლავ საჭიროა გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლის გარკვეული ნაწილის გადახედვა. განხილული იქნა ზემოთ აღნიშნული საკითხების გადაწყვეტის გზები, თუმცა მისიის შემდეგ უნდა დასრულებულიყო მონაცემთა ფაილების საბოლოო ვერსიები.

პროდუქტების რესურსებისა და გამოყენების დაბალანსების დაწყების მიზნით წარმოდგენილი იყო პრეზენტაცია აღნიშნულ პროცესში გასათვალისწინებელი პრინციპების განმარტებებით.

სისტემის დაბალანსების პროცესის დაწყებამდე, დანიელი ექსპერტების რეკომენდაციით, საქსტატის თანამშრომლებმა უნდა დანიშნონ დაბალანსებაზე მთავარი პასუხისმგებელი პირი, რომლის ფუნქციებიც მოიცავს:

- სამუშაოს ორგანიზებას (ფოლდერების შექმნა და გაყოფა და სტრიქონებისა და სვეტების სასაქონლო ჯგუფებში დაბალანსებელზე განაწილება),
- რესურესებისა და გამოყენების ცხრილების ფაილში ყველა შესწორების შენახვას,
- რესურესებისა და გამოყენების ცხრილების ფაილის სხვადასხვა ვერსიაზე დაკვირვებას,
- ყველა სამიზნე მაჩვენებლის სიზუსტისა და განახლების უზრუნველყოფას,
- საბოლოო დაბალანსებას

დანიელი ექსპერტების რეკომენდაციით, საქსტატის თანამშრომლებმა უნდა დაიწყონ დაბალანსება თითოეული მწკრივის/პროდუქტის გადახედვით, რათა მოთხოვნის მხარეს ყველა შესაბამისი მოხმარება იყოს წარმოდგენილი.

3. დასკვნები და დამატებითი განხილვები

- საგარეო ვაჭრობა: განხორციელდა CIF იმპორტის ახალი გაანგარიშება პროდუქტების მიხედვით ეროვნული ბანკიდან მიღებული დეტალური მონაცემების საფუძველზე. საქსტატიდან მიღებულ დაკვირვებულ CIF მაჩვენებლებს დაემატა დაუკვირვებელი დანახარჯების შეფასებები და გასწორდა „სხვა დაზუსტებებში“, საქონლის ტრანზიტში, არც ასახულია საგადასახდელო ბალანსში. მთლიანი იმპორტის საგადასახდელო ბალანსთან შესაბამისობისთვის საჭირო CIF-FOB კორექტირება ამ ეტაპზე გაანგარიშებულია. არსებობს სხვაობა აღნიშნული გზით გაანგარიშებულ მთლიან იმპორტსა და წინა მაჩვენებლებში გამოყენებულ საგადასახდელო ბალანსის მთლიან მაჩვენებლებს შორის, რასაც შესაბამისი ახსნა სჭირდება! პროდუქტების მიხედვით ექსპორტის ხელმისაწვდომ მონაცემებს აკლდა მსგავსი გაანგარიშებისთვის საჭირო

მონაცემები. მიუხედავად ამისა, შესაძლებელი იქნება საგადასახდელო ბალანსის გაანგარიშებაში გამოყენებული ექსპორტის დეტალური მონაცემების ეროვნული ბანკისგან მიღება. პროდუქტების მიხედვით ექსპორტის მონაცემებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შიდა მოხმარების ხელმისაწვდომ მაჩვენებლებზე და მათი დასრულება აუცილებელია პროდუქტების დაბალანსების დასრულებამდე. მოცემულ ეტაპზე აღნიშნული საკითხი მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- სახელმწიფო მართვის ორგანოები: საქსტატი ეროვნული ბანკიდან მიღებულ არასაბაზრო გამოშვებას სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარებად თვლიდა SNA 2008-ის შესაბამისად. დანიელ ექსპერტებთან (და ინსტიტუციური სექტორების ქვეკომპონენტის ექსპერტებთან) განხილვების შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებით, აღნიშნული გამოშვება უნდა ჩაითვალოს ფინანსური შუამავლების შუალედურ მოხმარებად ESA 2010-ის შესაბამისად.
- შმაკო: დანიელმა ექსპერტმა უზრუნველყო შმაკოს ერთეულების დეტალური მონაცემების მოდიფიცირება. ანგარიშში მითითებული ბრუნვის მაჩვენებლები ამ ეტაპზე მხოლოდ გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლად ითვლება, თუ იგი მნიშვნელოვნად დაბალია იმავე ერთეულის ანგარიშში მითითებული ხარჯების ჯამზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება დავუშვათ, რომ ანგარიშში მითითებული შემოსავალი შემოსავლის სხვა წყაროებსაც (ან, სხვა შემთხვევებში, ხარჯების ჯამის სახით გაანგარიშებულ გამოშვების მაჩვენებელს) მოიცავს. თუმცა, კვლავ რჩება ზოგიერთი ერთეული, რომელთა ბრუნვა შეიძლება იყოს გაყიდვები, თუმცა მაინც საეჭვოდ მაღალია. საქსტატის კონკრეტულმა თანამშრომელმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხების რეალური გადაჭრის გზებთან დაკავშირებით.
- გადასახადებს გამოკლებული პროდუქტების სუბსიდიები: პროდუქტებზე გადასახადების "რესურსები" საქსტატის მიერ რესურსებისა და გამოყენების ცხრილების პროდუქტების მიხედვით განაწილდა. მოცემული მისიისთვის საქსტატისგან გაიგზავნა პროდუქტებზე სუბსიდიების განაწილება. დანიელმა ექსპერტებმა მოამზადეს მონაცემების ფაილი წმინდა გადასახადებით, თუმცა დაფიქსირდა სერიოზული ხარვეზი, რაც შემდგომ გასწორდა!
- საბითუმო და საცალო ვაჭრობის ფასნამატები: საქსტატმა დაასრულა Excel-ის პროგრამული მხარდაჭერის სავაჭრო ფასნამატები პროდუქტების მიხედვით. თუმცა, მისიამდე მისი დანიელი ექსპერტებისთვის გაგზავნა ვერ მოხერხდა. ზოგიერთი ფასნამატის პროცენტი კვლავ განუსაზღვრელია, მაგრამ მათი დამატება პროდუქტების რესურსებისა და გამოყენების დაბალანსების დროსაც შეიძლება.
- დღგ: დაუქვითვადი დღგ-ის პროგრამის მიერ გაანგარიშებული ნაგულისხმევი პროცენტული მაჩვენებლების გაანგარიშება ხდება ფორმულით თითოეული პროდუქტის დღგ-ის საშუალო განაკვეთის, დღგ-ის მომკრები ორგანოების მიერ მიწოდებული თითოეული პროდუქტის წილის, დღგ-ის გადამხდელად დარეგისტრირებული ერთეულების მიერ შემავალის სახით დაქვითვადი პროდუქტის დღგ-ის წილის და დღგ-ის მომკრებად (ერთეულები, რომლებსაც შეუძლიათ შემავალი დღგ-ის დაქვითვა) დარეგისტრირებული მრეწველობის თითოეული დარგის ან მოხმარების წილის გათვალისწინებით. პროცენტული წილის არჩევასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი დაბალანსებისას უნდა გადაიჭრას. განხილული იქნა, თუ რამდენად ახლოს იქნებოდა დღგ-ის ბრუნვის მაჩვენებლის მიღებული ჯამი ფინანსთა სამინისტროს მაჩვენებელთან. თუმცა, აღნიშნული პრობლემის საბოლოო გადაწყვეტამდე საჭიროა მონაცემების ასახვის დასრულება რესურსებისა და გამოყენების ცხრილების გამოყენების მხარეს.

- მარაგების ცვლილება: საქსტატმა მოამზადა მარაგების ცვლილებების ახალი განაწილება. თუმცა გაანგარიშებაში კვლავ შედიოდა პროდუქტების მარაგების ცვლილებები, რომლებიც არ უნდა იყოს მარაგებში, მაგალითად მომსახურება. აუცილებელია მათი ამოღება. მასალების, მზა პროდუქტებისა და დაუსრულებელი წარმოების მარაგების ცვლილებები ამ ეტაპზე განაწილებულია მრეწველობის შესაბამისი დარგების დეტალური დანახარჯების/გამოშვების პროპორციულად. თუმცა, ჯერ კიდევ დაუსრულებელია შემდგომი რეალიზაციის საქონლის მარაგების ცვლილების ანალოგიური დეტალური გაანგარიშება. დანიელი ექსპერტების დაპირებით, მათ უნდა მოემზადებინათ მარაგების ცვლილებების გაანგარიშება NACE-ის დეტალური მრეწველობის დარგების მიხედვით. აღნიშნული გაანგარიშება საქსტატს მისიის შემდეგ გაეგზავნა.
- პირველადი სტატისტიკური მაჩვენებლები: ანგარიშში ასახული ფაქტობრივი შემსყიდველთა ღირებულებების მაჩვენებლების სვეტი შეიცავს სასარგებლო ინფორმაციას რესურსებისა და გამოყენების ცხრილების დაბალანსებაზე მომუშავე თანამშრომლებისთვის. ამგვარი "Prim-stat" მაჩვენებლები დაემატა მონაცემთა გვერდებს გამოყენების მხარეს, სადაც ამგვარი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი. სავსებით შესაძლებელია ანალოგიური მაჩვენებლების მიღება სტრუქტურული ბიზნეს სტატისტიკის მრეწველობის დარგების გამოშვებისთვის. (ამგვარი მაჩვენებლების გაანგარიშება დაუკვირვებადი გამოშვების დამატებამდე ხორციელდება).

რამდენადაც საგარეო ვაჭრობის მონაცემები კვლავ საჭიროებენ გადახედვას, თითოეული პროდუქტის რესურსებისა და გამოყენების დაბალანსების შედეგები მომდევნო მისიის განმავლობაშიც უნდა გადაიხედოს. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც უნდა ჩატარდეს მესამე მოკლე შეხვედრა მიმდინარე მისიის ფარგლებში და დამატებითი დრო უნდა გამოიყოს დაბალანსებისთვის როგორც კი შედარებით უფრო საიმედო მონაცემები იქნება ხელმისაწვდომი.

მიღწეული შეთანხმებით, შეძლებისდაგვარად მოკლე პერიოდში უნდა მოხერხდეს რესურსებისა და გამოყენების ცხრილების პროგრამაში მონაცემების ასახვისთვის საჭირო მონაცემების განახლება და გამოტოვებული მონაცემების დამატება. აღნიშნული უზრუნველყოფილი უნდა იყოს მომდევნო მისიის დაწყებამდე, რომლის პერიოდშიც მოხდება რესურსებსა და გამოყენებას შორის სხვაობის გასწორება თითოეული პროდუქტის სალდოსთვის.

საჭირო იქნება კიდევ ერთი მისია, რომელიც გამოყენების მხარეს არსებულ თითოეულ სვეტში ჯამური მოხმარების - შეძლებისდაგვარად - შესაბამის სამიზნე მაჩვენებლებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას დაეთმობა. ბოლოს უნდა დაბალანსდეს ვაჭრობის, ტრანსპორტირებისა და დღგ-ის რესურსები და გამოყენება.

გაუმჯობესების მიმართულებით განსახორციელებელი ნაბიჯები:

მოქმედება	ვადა	პასუხისმგებელი პირი
შემდგომი რეალიზაციის საქონლის მარაგების ცვლილებების განაწილება პროდუქტების მიხედვით სტრუქტურული ბიზნეს სტატისტიკის დეტალურ მონაცემებზე დაყრდნობით.	ახალი წლისთვის (უკვე წარდგენილი!)	სორენ ლარსენი, დანიის სტატისტიკა.
საქართველოს ეროვნული ბანკიდან	შეძლებისდაგვარად	საქსტატი

საგადასახდელო ბალანსიდან გაანგარიშების ეტაპების შესახებ ინფორმაციის მიღება. საგადასახდელო ბალანსიდან 2018 წლის იმპორტისა და ექსპორტის საბოლოო ვერსიის მიღება.	მოკლე ვადაში!	
ზემოთ აღნიშნული მონაცემების საფუძველზე პროდუქტების მიხედვით FOB ექსპორტის "საბოლოო" ვერსიის მომზადება	როგორც კი მონაცემები მზად იქნება	სორენ ლარსენი, დანიის სტატისტიკა.
კონკრეტული შმაკოს ერთეულების (ჩვეულებრივ, წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციების) გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლის ღირებულებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება	მომდევნო მისიის დაწყებამდე	საქსტატი
მასალებისა და მარაგების ნაწილში პროდუქტების (გარდა მომსახურებისა და სუბნარდული ხელშეკრულებით მშენებლობისა, იხილეთ შენიშვნა) მიხედვით მარაგების ცვლილების განაწილების გადაანგარიშება	შემლებისდაგვარად მოკლე ვადაში!	საქსტატი
შესაძლებლობის შემთხვევაში: სტრუქტურულ ბიზნეს სტატისტიკაში შემავალი მრეწველობის დარგების მიხედვით, ანგარიშში ასახული გამოშვების მაჩვენებლების (დაუკვირვებადის გარდა) ფაილის გაგზავნა	შემლებისდაგვარად მოკლე ვადაში!	საქსტატი

დანართი 1. ტექნიკური დავალება

ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი
GE 16 ENI ST 06 18

2020 წლის 4 დეკემბერი – 22 დეკემბერი

კომპონენტი 2: ეროვნულ ანგარიშებში მეთოდოლოგიური საფუძვლების გაძლიერება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად

ქვეკომპონენტი 2.2: რესურსებისა და გამოყენების ცხრილების (SUT) და დანახარჯებისა და გამოშვების (I/O) ცხრილების შედგენის მეთოდი

სავალდებულო შედეგები და 2.2 ქვეკომპონენტის მთავარი ამოცანები:

- რესურსებისა და გამოყენების ცხრილების (SUT) გაანგარიშების გაუმჯობესება და დანახარჯებისა და გამოშვების ცხრილების (I/O) დანერგვა

შესრულების (საბაზისო და სამიზნე) მაჩვენებლები:

- რესურსებისა და გამოყენების ცხრილები (SUT), როგორც SNA08-ის შესაბამისი სტატისტიკური პროდუქტი
  - **საბაზისო:** 2019 წელს – არსებული რესურსებისა და გამოყენების ცხრილები მზადდება მიმდინარე ფასებში
  - **2020 წლის დასასრულს** – რესურსებისა და გამოყენების ცხრილების მომზადება მიმდინარე და მუდმივ ფასებში SNA08-ის შესაბამისად

- დანახარჯებისა და გამოშვების ცხრილების (I/O), როგორც სტატისტიკური პროდუქტის ხელმისაწვდომობა
  - **საბაზისო:** 2019 წელს – არ არსებობს დანახარჯებისა და გამოშვების ცხრილები (I/O)
  - **სამიზნე:** 2020 წლის დასასრულს – შედგენილი უნდა იყოს დანახარჯებისა და გამოშვების ცხრილები (I/O)

<u>აქტივობა 2.2. D (RS2) "დაბალანსებამდე მაჩვენებლების რესურსებისა და გამოყენების ცხრილებში შეყვანის დასრულება"</u>

1. აქტივობის მიზანი

- "დაბალანსებამდე მაჩვენებლების რესურსებისა და გამოყენების ცხრილებში შეყვანის დასრულება"
- დაბალანსების პროცედურების დაწყება

2. აქტივობის მოსალოდნელი შედეგები

- რესურსებისა და გამოყენების ცხრილების Excel-ის ჩარჩოში პროდუქტების რესურსებისა და გამოყენების დაბალანსების მიმართულებით გაწეული სამუშაოების გაგრძელება
- მომდევნო აქტივობის ტექნიკური დავალების მომზადების მხარდაჭერა

- მისიის ანგარიშის მომზადება
- 2.2 ქვეკომპონენტის გზამკვლევის განახლება

დანართი 2. ექსპერტებთან შეხვედრებში მონაწილე პირები

<u>საქსტატი</u>
ბ-ნი ლევან ქარსაულიძე, ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტის უფროსი
ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტის თანამშრომლები
ქ-ნი თინათინ პაპიაშვილი, კვარტალური ანგარიშების სამმართველოს უფროსი
ქ-ნი ნათია მერებაშვილი, წლიური ანგარიშების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

<u>პროექტის მუდმივი უცხოელი მრჩეველის ჯგუფი</u>
ბ-ნი სტინ ბელეფელდ პიდერსენი, პროექტის მუდმივი უცხოელი მრჩეველი